აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობა

გამგებლის ბრძანება N2-131

2015 წლის სექტემბერი

ქ. თბილისი

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტისა და ,,აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 მარტის №11 დადგენილებით დამტკიცებული ,,აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის" მე-3 მუხლის, მე-4-7 მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მოძრავი ქონების: ავტომანქანა მარკა-გაზ-52 და ავტომანქანა მარკა-გაზ-3976011 საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.
2. დაევალოს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით შექმნილ მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას ელექტრონული აუქციონის დაწყების შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე (www.eauction.ge) გამოცხადება და სხვა საორგანიზაციო სამუშაოების შესრულება.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

გამგებელი **ლაშა მარგიანი**